



„ღმერთო,
სამშობლო მდნოცხლე,
მძინარეც
შენს ვდუდუნებ!“

კავკასია

პროგრული, ლიტერატურული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი №9-10 (55-56) საქართველო-ქობულაძე 2011 წელი შანი 1 ლანი


მუხიან ლეხანია

თუშები მიყვარან...

თუშები მიყვარან — ტანად დიდები!
 სიტყვაძვირები და გულით მდიდრები!
 საქართველოს მთებში — მონაპირენი!
 საქართველოს მთებში — მონადირენი!
 ვაჩაძეები, ვაშაძეები,
 ცისკარიშვილები — ლაშქარს დევები!
 გაფრინდაულები — მჭრელი სატყვერებით,
 თვითონ ცოტანი, მაგრამ ცხვარბეგრები!
 აფთარაულები, უსარაულები —
 მთას რომ მერცხლის ბუდედ უჩანთ აულები!
 ჩაღმა თუშები და თუშები წოვანი —
 საქართველოს გზებზე მარად მგზოვარნი!
 თუშები მიყვარან სულში და გულში —
 ღმერთი!
 რჯული!
 არა ვარ თუში!

ელგუჯა უძილასრი

ხმას რად არ გამცემთ, მითხარით,
 ილტოს ხეობის გორებო,
 იქნებ სიდაბლით ვერ მამჩნევთ,
 სიმაღლით ცათა სწორებო.
 იქნება ღირსი არა ვარ
 თქვენის გულმკერდის ცქერისა,
 მაშ თუ ვგრევა, წამერთვას
 ძალა ლექსების წერისა,
 ნურც მიყმოს კობალის ჯვარმა,
 ჩოქზე დამდგარი მუდარით,
 ჩემს საღიშარსაც დასთაღხავს
 ლევა ღრუბლების სუდარი.
 ნურც გამიდიმოს ლამაზად
 ბექში მოსულმა იამა,
 ზურგი მაქციოს, დამწვევლოს,
 ილტოს ხეობის ნიაგმა.



თუშეთი, კვაველის ციხე, 1978 წელი, აგვისტო
იზა ჯაჭვასის ფოტო

იზა ჯაჭვასი

ახმეტა – მატანი

ქაქუცა ჩოლოყაშვილს

მზის სხივთა კრთომით გაღვიძებულმა
 ღვთიურმა სიომ მოგიაღერსა...
 აი, დამფრთხალი თქვენი ბავშვობა,
 ასდევს და ასდევს ალაზნის შრიადს...
 აი, ახშეტის კრიალა თვალი,
 პანკისთან ახლოს მოსულა ია
 და ნახანლარი ჩოლოყაშვილთა,
 თქვენი ხანლ-კარის მცველი ბილიდა.

წითელ ფერებში ელვა ითება,
 მატნის ველებზე მეომრებს ვხედავ,
 მომრავლებულა ქაქუცას ჯარი,
 კანჭახებს შაშვი, შრიადებს ზეცა.
 ყორნების ფრთებში ელვად ჩამჯდარი
 ახშეტა თვალწინ გამინებიგრდა,
 დამე გაფრინდა და მზე დიდგულად
 გამოდის ბნელი ტალანებიდან.

გაზეთ „კავკასიის“ სარედაქციო საბჭოს გადაწყვეტილებით, „კავკასიის“ ლაურეატის წოდება მიენიჭა:

1. ჯაბარაილ ხანგოშვილს – 2011 წლის №7-8 (53-54) ნომერში გამოქვეყნებული ორი წერილისათვის რუბრიკით: „ეს იყო...“ „ჯოხარ ღულავეი: „ვაღლებულნი ვართ, შევარივით ორად გაყოფილი ქართველობა“;
2. გიგლა ჭინჭარაშვილს – 2011 წლის №5-6 (51-52) ნომერში გამოქვეყნებული ლექსებისათვის;
3. ელგუჯა უძილასრს – 2011 წლის №3-4 (49-50) ნომერში გამოქვეყნებული ლექსებისათვის;

საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს

პატივცემულო მიხეილ! ჩვენ, ახმეტის რაიონის პანკისის ხეობის მაცხოვრებლებს, სიამოვნების გრძობა გვეუფლება მამინ, როცა ვხედავთ საქართველოში მიმდინარე ძირეულ ცვლილებებს ეკონომიკასა და პოლიტიკაში. ამ მიმართულებით უშუალოდ თქვენს მიერ გაწეული მუშაობის შედეგები უკვე სახეზეა.

კარგად გვესმის ისიც, რომ საქართველოს სუვერენულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების იდეა რთული და ხანგრძლივი პროცესია. ჩვენთვის მეტად ისტორიული მნიშვნელობის ამ საკითხის პრაქტიკულად განხორციელების პროცესში, თქვენ აწყდებით ხელსაყრელ შემთხვევით წინააღმდეგობას. არის ბევრი პრობლემა საქართველოს სუვერენულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების საკითხებში.

ყოველივე აღნიშნული გვაძლევს იმედს იმისა, რომ სერიოზული ცვლილებები მოხდება მთლიანად კავკასიაში.

გიძღვნი გულწრფელ სალომს და გვინდა მოგმართოთ შემდეგი თხოვნით: უკანასკნელ დროს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ქვეყნდება ცნობები იმის შესახებ, რომ საქართველოს ხელისუფლება ზოგიერთ მოქალაქეს ავიღოვებს ქვეყნის წინაშე დამსახურებისათვის. ეს ჩვენ ძალიან გვახარებს იმ გაგებით, რომ კეთილშობილური საქმეები ჩვენი თანამემამულეებისა არ უნდა მიეცეს მივიწყებას. ეს იქნება დიდი ჰუმანური მაგალითი სხვა მოქალაქეებისათვის და შეასრულებს დიდ როლს ჩვენი მოსახლეობის სიკეთით,

„კავკასიის“ წინა ნომერში გამოქვეყნდა ინტერვიუ ჯაბრამ ზაბრაილ ხანგოშვილთან. ამას წინათ კი რედაქციაში პანკისის ხეობიდან ქისტების წერილი მივიღეთ, რომელსაც უცვლელად ვაქვეყნებთ:

სათნობით, კეთილშობილებასა და პატრიოტულ სულისკეთებაში. სწორედ ამიტომ აღნიშნულმა გარემოებამ გვიბიძგა მოგმართოთ თქვენ და მოგივყოთ იმ კეთილშობილურ საქმეებზე, რომელსაც ჩვენი ქვეყნის ღირსეული მოქალაქე, ჩვენი თანამემამულე, ახმეტის რაიონის სოფელ დუისში მცხოვრები **ჯაბრამ ზაბრაილ ხანგოშვილი** აკეთებს.

ჯაბრამ ზაბრაილ ხანგოშვილს პატივს სცემენ არა მარტო ჩვენი ხეობაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

მისი შრომითი ბიოგრაფიიდან უთვალავი გულმონწყალების და დახმარების ჩამოთვლა შეიძლება. იგი უშუალოდ აფრქვევს სიყვარულის, კაცობის, ძმობის და მეგობრობის ელექსირს. მეცენატობა ჯაბრამმა 1992 წლიდან აფხაზეთის მოვლენების დროს დაიწყო. მან ჩვენთვის რესპუბლიკის ინჟინერის ხელისუფლებაში ყოფნის დროს, გააფორმა ხელშეკრულება ჩვენთვის რესპუბლიკის ინჟინერის ხელმძღვანელობასთან აფხაზეთიდან ლტოლვილებისათვის ჰუმანიტარული დახმარების შესახებ.

არაერთი თვითმფრინავი ქალაქ გროზოდან დატვირთული პროდუქტით და მედიკამენტებით დაჰჯდარა იმ დროს თბილისის აეროპორტში ჯაბრამ ზაბრაილ ხანგოშვილის თაოსნობითა და ხელმძღვანელობით.

მან 1993 წელს საკუთარი სახსრებით აფხაზეთიდან ლტოლვილებს გადასცა იმ დროისთვის არც თუ ცოტა ფული დახმარება, 10 მილიონი რუსული რუბლი.

ძნელია ჩამოვთვალოთ ის, თუ რამდენჯერ და რა თანხით დაეხმარა ჯაბრამ პანკისის ხეობის მცხოვრებლებს. ჰუმანურობისა და კეთილმოსურნეობის ეს პროცესი კვლავაც გრძელდება.

გარდა აღნიშნულისა, მან **აქტიური მონაწილეობა მიიღო საქართველოს არმიის ჩამოყალიბების საქმეში. კერძოდ, საქართველოს თავდაცვის უწყებას აჩუქა 10 ვეღვანაშაველი ავტომანქანა. უფრო მეტიც, ჯაბრამ გასულ წელს ჰუმანიტარული დახმარება აღმოუჩინა ცხინვალის რეგიონიდან დევნილებს.**

დღეს, როცა მთელი მსოფლიო განიცდის ფინანსურ კრიზისს და ბიზნესმენებს ემინათ ფული ჩადონ რომელიმე საწარმოში, ამ დროს ბატონი ჯაბრამ ბათუმში აშენებს მსოფლიო მნიშვნელობის **ჰოსპიტალს**. ამისათვის, საქმეში იგი დებს არა მარტო საკუთარ სახსრებს, არამედ დიდი რაოდენობის საბანკო კრედიტებს. რამდენიმე წელია, რაც ბათუმში მოქალაქეებს **ემსახურება სამედიცინო ცენტრი „მედინა“**, რომელსაც ხელმძღვანელობს **ჯაბრამის მეუღლე, ქალბატონი ირის ბორჩაშვილი**. იქ

უფასო სამედიცინო დახმარება აჭარლებთან ერთად მიიღეს ჩვენი ხეობის მაცხოვრებლებიც.

არასოდეს არ ყოფილა შემთხვევა იმისა, რომ ქალბატონ ირისს უარი ეთქვა ღარიბ ან ნაკლებად უზრუნველყოფილი ადამიანებისათვის უფასო სამედიცინო დახმარების აღმოჩენაზე. არც ერთი არ რჩება დახმარების გარეშე. მარტო ოჯახისათვის ყველაზე საინტერესო ის არის, რომ აბსოლუტურად არ აქვს მათთვის მნიშვნელობა მის ნაციონალურ ან რელიგიურ წარმომავლობას, თუკი განიცდის უმწუბრებას, ეხმარება ყველას, ვისაც დახმარება სჭირდება.

ჩვენს მიერ ზემოთ ჩამოთვლილი მხოლოდ პატარა წვეთია იმ სიკეთისა, რომელიც აღმოუჩინა ხალხს ჯაბრამ ზაბრაილ ხანგოშვილმა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, ჩვენს ძვირფასო პრეზიდენტო, აღნიშნოთ სახელმწიფო დონეზე ჯაბრამ ზაბრაილ ხანგოშვილის დამსახურება ჩვენი სამშობლოს წინაშე.

მ. ქავთარაშვილი,
დუისის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული
რ. მუთოშვილი,
ჯოჯოხოს ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული
შ. ანდალაშვილი,
ხალაწის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული,
პანკისის ხეობის მოსახლეთა

ქ ა რ თ უ ლ ი ს ა მ ო თ ხ ე



მსოფლიოს მრავალი მოქალაქე აღტაცებას ვერ მალავს კავკასიისა და კერძოდ, საქართველოს ბუნების მრავალფეროვნების გამო, ასეთი მცირე ტერიტორიის ფარგლებში, მთების და ველების, მყინვარებისა და ტენიანი ტყეების თუ ნახევარუდაბნოების საოცარი კონტრასტით.

საქართველო ოდითგანვე ცნობილი იყო სამკურნალო, ძვირფასი და იშვიათი მცენარეებით, სარეწაო და სანადირო ნადირ-ფრინველის სიმრავლით. თუმცა ცოტა ისეთი ადგილები, სადაც ყოველი ასეთი სიკეთე ბუნებისა, ერთად არის თავმოყრილი. მათგან უძველესი და უმნიშვნელოვანესი მდებარეობს კახეთში, მის უკიდურეს ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მდინარეების — **მაწიმის წყლის, ლაგოდეხის წყლის, შრომის ხევის და ნინოს ხევის ხეობების აუზებში** და ის **ლაგოდეხის სახელმწიფო კომპლექსური ნაკრძალის სახელწოდებით არის ცნობილი. მისი დღევანდელი ფართობი 22 358 ჰექტარია.**

სანამ ლაგოდეხის ნაკრძალის ბუნებას გავიცნობთ, ცოტა რამ მისი ისტორიიდან: ნაკრძალის ისტორია დაკავშირებულია **ლუდევიკ მლოკოსევიჩის** სახელთან. ის 1851 წელს პოლონეთიდან გადმოსახლეს ლაგოდეხში, სადაც მან 58 წელი გაატარა. პირველად ყურადღება ლაგოდეხის წყლის ხეობის ბუნების სპეციფიურობას მიაქცია. მიუხედავად იმისა, რომ ის მეტყვევებდა იმისა, მაინც ნაყოფიერად მუშაობდა ადგილობრივი ბუნების შესას-

წავლად. აგროვებდა რა მდიდარ საჭერბარო მასალას შესასწავლად უგზავნიდა სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებს. სწორედ ამ მასალებით იქნა აღწერილი მეცნიერებისათვის მანამდე უცნობი მრავალი მცენარე: **მლოკოსევიჩის და ლაგოდეხის იორდასალაბები, ფურისულა, ნაღველა** და სხვა სახეობები. მის მიერ აღმოჩენილია ქართული მთების სიამაყე **კავკასიური როჭოცო**. მლოკოსევიჩმა შეისწავლა ლაგოდეხის ჰავა და დაადგინა, რომ ის მეტად ზომიერია და დასავლეთ ამიერკავკასიისა და ლენქორანის (ახურბაიჯანის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი) ჰავას ჰგავს.

ლაგოდეხის ხეობის შესწავლაში და მის ნაკრძალად გამოცხადებაში გადამწყვეტი როლი **პროფესორმა კუნცევიჩმა** შეასრულა. მან 1911 წელს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიაში დააყენა შუამდგომლობა ამ ხეობის ნაკრძალად გამოცხადების შესახებ. 1912 წელს დაახლოებით 3500 ჰა დაცულ ტერიტორიად გამოცხადდა. თუმცა 1929 წლამდე მისი დაცვა არ ხორციელდებოდა, ხოლო ბუნება ნადგურდებოდა. ამ წლების შემდეგ ეს ტერიტორიები მკაცრი დაცვის ქვეშ მოექცა.

როგორია ნაკრძალის ბუნება და ბუნებრივი პირობები, რითი იქცევა ის ბუნების მოყვარულთა ყურადღებას?

როგორც აღვნიშნეთ ნაკრძალის ტერიტორიაზე ოთხი დიდი მდინარეა: **მაწიმის წყალი, ლაგოდეხის, შრომის წყალი და ნინოს წყალი.** ალპურ სარტყელში კი ყინვარული წარმოშობის პატარა ტბებია. **აქვეა ჩანჩქერები და გოგირდის**


წყარო. ჰავა ზომიერად ტენიანი და თბილია (ნახევრად სუბტროპიკული).

ლაგოდეხის ნაკრძალში მცენარეულობის ძირითადი ტიპი ტყეებია. სუბალპური სარტყელიდან კი ზღვის დონიდან 1850 მ. მდელობა 3500 მეტრზე სუბნივალური სარტყელია. მდიდარია აგრეთვე, ნაკრძალის ფაუნა. აქ გვხვდება ძუძუმწოვართა 40 სახეობა, მათ შორის: მღრნელები, მწერიჭამიები, აღმოსავლეთ კავკასიური ჯიხვი, კავკასიური არჩვი, კავკასიური ირემი, შველი, გარეული ღორი, კვერნა, კავკასიური მურა დათვი, მგელი, ტურა, მელა, ტყის კატა, ფოცხვერი, მაჩვი. ცნობილია ფრინველთა 100-მდე სახეობა: მათ შორის კავკასიური როჭოცო, შურთხი, ბატკანძერი, ფასკუნჯი, შევარდენი, არწივი და მრავალი მგალობელი ფრინველი, რამდენიმე სახეობის ამფიბია და ქვეწარმავალი. ასამდე სახეობის უხერხემლო და მიკროსკოპული ცხოველი, რომელთა საერთო რაოდენობა ჯერ კიდევ დაუდგენელია.

ისე, რომ საქართველოს ეს უმდიდრესი კუთხე უდავოდ იმსახურებდა დაცულ ტერიტორიად გამოყოფას. თანამედროვე პირობებში მას ტურიზმისა და ბერძეოჩინვის (ფრინველთა თვალთვალი) უზარმაზარი პოტენციალი გააჩნია.

თითოეული ჩვენთაგანი კი ვალდებულია იამაყოს ბუნების ამ საოცრებით.

პასხა სუხიტაშვილი.



„ყნა იქსოს მისხანებით სამების ზახმა!“

ერო ჩემო მცხეთის კართან გაყოფილი!!!

მაგ სუფრიდან არაფერი აიღო! მაგ სუფრასთან წუხელ ვაცეს უფალი!

ქრისტეს მცნება გინაც ყურად არ იღო, არ ასცდება იუდას ნასუფრალი! ზოგი მამლის ყვილაძე გიგანებს! ზოგი ისევ ამჯობინებს ავაზაკს! მე კი მხილავს შენი ზვრების სიგანე, სიცოცხლე რომ ასე გამილაპაჯა!

გაიცინე, როცა გიმწერს ჯალათი! გაიცინე, როცა უმწერ არქიფოს!

არაფერი დაიჯერო ამათი! ოცდაათი ვერცხლიც ამათ ათქვლიფონ! როგორ ახლოს მოფრენილან სგაგები!

ეს კანკელიც შინაურმა დაღეწა! რატომ იტანს ფილაქანი სამების ღვთის ტაძარში შემოპარულ გარეწარს?

ბულა-თურქიც უნდა მკერდით გათელო, თუ ცრემლები საქართველოს გამოგდის!

ეს მსტოგრებიც მოინელე, ქართველო! ერთ ჩემო, მცხეთის კართან გამოდი!!!

ლაშა ნადარეიშვილი

მეუფე ზმინი: „... სომხური ეკლესია სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებით ავრცელებს ყალბ ისტორიულ ფრაგმენტებს, თითქოს საქართველოში 600-მდე ეკლესიაა სომხური წარმოშობის და სომხური კულტურული მემკვიდრეობის და აცხადებს პრეტენზიას მესაკუთრის უფლების აღდგენაზე, მათ შორის ჩამონათვალში არის მცხეთის ჯვრის მონასტერი. ასეთი უსაფუძვლო, გაყალბებული, არასამართლებრივი მოთხოვნების ფონზე საქართველოს ეკლესია ვერ მიესალმება სომხური ეკლესიისათვის სამართლებრივი სტატუსის მინიჭებას ყოველგვარი გააზრების, საკითხების შესწავლის გარეშე.

მეორე საკითხი, გეროს რეზოლუციას, რომელიც ითვალისწინებდა აფხაზეთში ლტოლვილთა დაბრუნებას, სომხეთმა არ მიაწერა ხელი. თუ მეგობრობა, ძმობა და თანაზიარობა ნამდვილად არსებობს ჩვენს შორის, რატომ ხდება, რომ სომხური მხარე ისეთ ფუნდამენტურ საკითხებზე, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, არ იჩენს არანაირ თანადგომას და მხარდაჭერას.

განდა ინფორმაცია, რომ სომხურ ეკლესიას მიზნად აქვს საქართველოში საკათალიკოსო ინსტიტუტის დაარსება... ასეთი ინსტიტუტები მას აქვს სხვადასხვა ქვეყნებში, სხვადასხვა ისტორიულ მონაკვეთზე ჩამოყალიბებული. საკათალიკოსო გახლავთ საკმაოდ მსხვილი ერთეული, რომელიც სცილდება ვიწრო საეკლესიო ადმინისტრაციულ გაგებას და გარემოწერილობას.

და ასეთ ეტაპზე ხელისუფლების მხრიდან დაუფიქრებელი და ახლომხედველი ნაბიჯის გადადგმა ნამდვილად მიუღებელია ქართული ეკლესიისა და საზოგადოებისათვის.

როგორც საინფორმაციო საშუალებებიდან ვიგებდით, სომხური მხარე სომხეთს პატრიარქის ვიზიტით უკმაყოფილო იყო, რადგან წამოყენებული პირობები არ დაკმაყოფილდა. წამოყენებული იყო იურიდიული



სტატუსის მინიჭების და ეკლესიების საკუთრებაში გადაცემის მოთხოვნა. ქართულ მხარეს ჰქონდა ანალოგიური მოთხოვნები სომხეთში. ეს უნდა განხორციელებულიყო, როცა ერთობლივი კომისია დაადგენდა ეკლესიების წარმომავლობას. მაგრამ სომხეთის პატრიარქმა ამ შეთავაზებაზე უარი განაცხადა. ამის შემდეგ, რამდენიმე დღეში, საქართველოში სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ჩამოვიდა და როგორც დღეს საქართველოს საგარეო უწყებამაც დაადასტურა, სომხური ეკლესიის სტატუსის თემის სწრაფი განხილვა სწორედ სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ვიზიტს უკავშირდება.

მინდა გავისვენო ერთი ამბავი, როდესაც რუსეთში ჩატარდა რელიგიური ფორუმი რამდენიმე წლის წინ, იქ პატრიარქის ჩასვლას სომხურმა მხარემ მოუწყო ასეთი სიურპრიზი: აჩვენა ფილმი, თუ როგორ იდევნებდნენ სომხები საქართველოში, კერძოდ, პატრიარქის მიერ ასეთი ქმედებების შემდეგ, რომელიც სორციელდებ-

და სომხური ეკლესიის მხრიდან საქართველოს ეკლესიისა და მისი საჭეთმპყრობელის მისამართით, რაიმე გადაწყვეტილების ხელაღებით და შეუსწავლელად მიღება, ჩემის აზრით, დაუშვებელია...

ნუ დაივიწყებს სომხური მხარე, რომ ჯავახეთში სომხური კომპაქტური დასახლება მოხდა ქართული მხარის კეთილი ნების შედეგად, როცა თურქეთიდან გამოქცეულ სომხებს თავშესაფარი არსად ჰქონდათ. და ამის სანაცვლოდ, როგორ შეიძლება სომხურმა ეკლესიამ ჯავახეთის სომხური წარმომავლობის თემები გაავრცელოს სხვადასხვა საგამომცემლო წრეებში.

მინდა იცოდეს საზოგადოებამ და პირველ რიგში, საკანონმდებლო ორგანომ, რომ ფოკაში ოცი წელია მოღვაწეობს მონაზონი, იღუმენია ელისაბედი, რომელმაც მრავალჯერ გამოიარა ფიზიკური შეურაცხყოფა იქ მოსახლე სომხების მხრიდან, მხოლოდ იმიტომ რომ მართლმადიდებლობის მსახური იყო და მხოლოდ

ქართული ეკლესიის ჭკვიანური პოლიტიკის შედეგია, რომ დღეს ეს რთული ურთიერთობა მოგვარებულია.

როდესაც საეკლესიო კერები ცხადდება სომხურ კულტურულ მემკვიდრეობად და გადმოგვეცითო — გვეუბნება სომხური მხარე, როგორ არ უნდა შეუთანხმოს ეს ხელისუფლებამ საპატრიარქოს, რადგან ეს ეკლესიები კონსტიტუციური შეთანხმების მიხედვით აღიარებული არის როგორც ქართული ეკლესიის კუთვნილება. გავისვენებ კიდევ ერთ რამეს, როცა 90-იანი წლების მიწურულს, კონსტიტუციურ შეთანხმებაზე იყო ფართო განხილვა, მაშინ ხელისუფლებამ პირდაპირ მოგვიწოდებდა ჩვენ საერთაშორისო ორგანიზაციების სახელის მოშველიებით, რომ საერთო გამოგვეჩინა საქართველოში არსებულ სხვა რელიგიებთან. და როცა ამ რელიგიების საკითხები განიხილება არ უნდა შეეთანხმებინათ ის ჩვენთან?!

„მამისტრო“

ნიკო სულხანიშვილის იუბილი



თელავში, ქართველი კომპოზიტორის, კლასიკური საგუნდო მუსიკის ფუძემდებლის, ნიკო სულხანიშვილის დაბადებიდან ასმეორმოცე წლისთავი აღინიშნა.

მუსიკალური ფესტივალი ნიკო სულხანიშვილის მემორიალური დაფის გახსნით დაიწყო. მემორიალური დაფა კახეთის გუბერნატორმა, გიორგი ღვინიაშვილმა გახსნა.

ფესტივალში, რომელიც ღია ცის ქვეშ, თელავის სახელმწიფო თეატრის წინ გაიმართა, კახეთის ექვსი მუნიციპალიტეტის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლებმა მიიღეს მონაწილეობა.

ფესტივალზე შესრულდა ნაწყვეტები ნიკო სულხანიშვილის მიერ შექმნილი პირველი ეროვნული ოპერიდან „პატარა კახი“ და ჰიმნი „დიდება ივერსა“.

პარალელურად, წარმოდგენილი იყო, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები.


ნიკო სულხანიშვილის სახელს უკავშირდება პირველი შერეული (ქალთა და ვაჟთა) გუნდის შექმნაც.

გასილ კველიშვილი, ნიკო სულხანიშვილის სახელობის კახეთის ხელოვანთა საზოგადოების თავჯდომარე: „მემორიალური დაფა გავხსენით იმ სახლში, სადაც ნიკო სულხანიშვილი 1912-1915 წლებში ცხოვრობდა. სწორედ ამ პერიოდში შექმნა მან ნაწარმოები, რომელიც დღეს აულერდა, ეს გახლავთ ნაწყვეტი ოპერიდან „პატარა კახი“. სამწუხაროა, რომ აღნიშნული ოპერა დაიკარგა.

კომპოზიტორს პარტიტურა მოპარეს, მაგრამ ის იმდენად ხალხურ და ტრადიციულ მუსიკაზე იყო დაფუძნებული, რომ ხალხმა გაითავისა და შემოინახა. ჩვენმა გუნდმა, „პატარა კახი“, შეასრულა ნიკო სულხანიშვილის ჰიმნი, „დიდება ივერსა“. ამ ნაწარმოებმა, 1918 წელს, ნიკო სულხანიშვილის მიერ გამოცხადებულ ეროვნული ჰიმნების კონკურსში გაიმარჯვა“.

სულხან სხირბლაძე

ქართველი ქაბის თანადგომით



რეპორაჟის ავტორი ახმეტის რაიონის მუნიციპალიტეტის თანამდებობის მქონე ანდრეასი...

რა შეიცვალა ამ ბოლო ათი წლის განმავლობაში პანკისის ხეობაში ჩვენნი ბოვეიკების წასვლის შემდეგ?

მათი წასვლის შემდეგ პანკისის ხეობაში ბევრი რამე შეიცვალა, განსაკუთრებით, საქართველოს სათავეში ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ...

დღეისათვის ხეობა საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მშვიდობიანი კუთხეა. თქვენ ხომ გარკვეული დავალი მიგიძღვით და საქმის კურსში ხართ 1999-2003 წლების კრიმინოგენული სიტუაციის დარეგულირებაში და როგორ შესძელით თქვენ და კახეთის მხარის გუბერნიის და პოლიციის წარმომადგენლებმა საქმის კურსში მყოფებმა, საფრთხის თავიდან აცილება, რომელიც მაშინ ხეობას და არა მარტო მას ემუქრებოდა?

მართლაც იმ ავბედით დროს ვიყავი პანკისში ერთ-ერთი დიდი საკრებულოს – დუისის თემის საკრებულოს თავჯდომარე. ეს წლები 1999-2003 წწ. ხეობისათვის იყო ყველაზე მწარედ მოსაგონარი. მიუხედავად იმისა, რომ ხეობის ინტელიგენცია და უხუცესები ერთ მუშტად შევიკარით და დავაწესეთ დღეღამური მორიგეობა. ყველაზე რთული და ცუდი ის გახლდათ, რომ კრიმინალურ ავტორიტეტებთან შეკრულნი იყვნენ და მჭიდრო კავშირი ჰქონდათ მამინდელი მთავრობის მაღალჩინოსნებს, მაგრამ მადლობა დემეტრის ჩვენი ქართველი ძმების თანადგომით შევძელით სიტუაციის დარეგულირება.

ჩვენი ქვეყნის რომელ დაწესებულებებს და ასევე რომელ პიროვნებებს მიუძღვით წვლილი პანკისის ხეობაში, რუსეთის მიერ შერქმეულ ევროპულ ცხელ წერტილში, მიმდინარეობდა კრიმინოგენული სიტუაციის მოგვარებაში?

პირველ რიგში, რა თქმა უნდა, დიდი წვლილი მიუძღვის შინაგან საქმეთა სამინისტროს, კახეთის სამხარეო პოლიციას,

სახელდობრ უშიშარმა და რაინდული ბუნების პიროვნებამ ზურაბ ტუშუტა თავისი გუნდით, რა თქმა უნდა, თავისი წვლილი შეიტანა უშიშროებაში.

რამდენი ჩვენნი ლტოლვილის ოჯახი დარჩა და რამდენია მათი რიცხვი, იმ დროიდან დღემდე და როგორ ხდება მათი ინტეგრაცია – დაახლოებით.

ამჟამად ჩვენ ლტოლვილთა რიცხვი ძალიან ცოტაა, ზუსტ რიცხვს ვერ დავასახელებ. ბევრი გავიდა მესამე ქვეყანაში, ზოგიც უკან დაბრუნდა ჩვენში. ვინც დარჩა, მიიღეს „ბინადრობის“ მოწმობა, ზოგიც საქართველოს მოქალაქე გახდა.

რა გავლენა მოახდინა ჩვენნი ლტოლვილების და ბოვეიკების შემოსვლამ ზემოთაღნიშნულ ხეობაში და როგორია სოციალური ფონი თქვენთან ამჟამად, როგორც ადგილობრივ მოსახლეობაში, ისე ლტოლვილებთან, ხომ არ ხდება მათი მიგრაცია და ხომ არ უკაცრიელდება პანკისის ხეობის სოფლები ქართული მოსახლეობისგან?

ჩვენნი ლტოლვილებისა და ბოვეიკების შემოსვლამ უარყოფითი გავლენა მოახდინა პანკისის ხეობის მოსახლეობაზე, განსაკუთრებით ახალგაზრდობაზე. იყო განუკითხაობა, საქართველოს ყველა კუთხის კრიმინალური დაჯგუფება მოაწვდა პანკისს. მათგან გაქრულნი ურთულესი საქმე აღმოჩნდა: გახშირდა ქურდობა, ყაჩაღობა, გატაცებული მანქანებისა და ხალხის შემოყვანა. გაჩნდა დაუსჯელობის სინდრომი, რამაც იმ ახალგაზრდობასაც უბიძგა ცუდისკენ, ვინც მანამდე ნორმალურად მიიჩნეოდა და წესიერ ახალგაზრდად ითვლებოდა.

ამჟამად სოციალური დონე, რა თქმა უნდა, უკეთესია, შედარებაც არ შეიძლება. ყველა სოფელში აღდგა ბაღები (რომლებიც მანამდე უმოქმედო იყო) სადაც არ იყო, აშენდა ახალი, დაიგო გზები, მოხერხდა სოფლების შიდა გზები, გარემონტდა სკოლები – პანკისის ცენტრში. სოფელ დუისში აშენდა პოლიციის შენობა, ბევრ სოფელში გაიყვანეს სასამართლო წყალი. ბევრი ლტოლვილი დასაქმდა, ადგილობრივებიც.

რა თქმა უნდა, ამ არეულობის წლებში ქართულ სოფლებში მოსახლეობამ დაიწყო საცხოვრებელი სახლების გაყიდვა და ხეობიდან სხვა რეგიონებში გადასახლება, რასაც დარწმუნებული ვარ, გააკეთებდა ქისტი მოსახლეობის უმეტესობაც წასასვლელი რომ ჰქონოდა სადმე. ამჟამად მიგრაცია შეჩერებულია.

რა პრობლემებია ხეობაში ჯანმრთელობის და უმუშევრობის მხრივ, რითი იჩინეს თავს მოსახლეობა? რით არის დაკავებული ქისტი ახალგაზრდობა?

ქისტი ახალგაზრდობიდან ბევრი სწავლობს საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში. ვინც დაამთავრა და ვისაც გაუშარტა, მუშაობს, ბევრი კიდევ უმუშევარია. ზოგი, ვისაც საშუალება აქვს, მესაქონლეობას მისდევს, ბევრიც ცდილობს გავიდეს რესპუბლიკის გარეთ სეზონურ სამუშაოებზე, რათა არჩინონ ოჯახები.

როგორც მთის პრობლემებზე და ცხელ წერტილებში მომუშავე ფურნალისტს, ფეხით მაქვს შემოვლილი საქართველოს მთიანეთი, აგრეთვე პანკისის ხეობის მთა-გორები, მინახავს ბევრი შუასაუკუნეების ქართული ისტორიული ძეგლი, – ჩვენი ერთიანი საქართველოს მშენებელი. ალბათ გასსოვთ, იმ დროს გახუთდა „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციიდან მივლინებით მხოლოდ მე გაგებდნენ შემოსვლა თქვენს ხეობაში სამეგრ... როგორც მეცნიერები ადასტურებენ ხეობაში, თქვენთან არის 60-ზე მეტი ისტორიული ძეგლი (ეკლესიები, ციხე-სიმაგრეები, კოშკები, ნამონასტრები, საწინააღმდეგო ნანგრევები და სხვა, რას გვეტყვი ამის შესახებ? დღესაც მაქვს დიდი სურვილი მოვიხილო აღნიშნული ძეგლები. აქედან ერთ-ერთი თორღვას ციხეა... მართლაც, პანკისის ხეობაში არის შუა საუკუნეების ბევრი ისტორიული ძეგლი (ეკლესიები, ციხე-სიმაგრეები, კოშკები, საწინააღმდეგო ნანგრევები და სხვა) ჯოჯოხეთში, ბალთა გორაზე არის უკარო ციხე, რომელსაც დაბლა ხევიდან საიდუმლო გვირბით ჰქონდა შესასვლელი. როგორც ვიცი, ასეთი ციხე საქართველოში ერთადერთია. პანკისის ისტორიული ძეგლებიდან ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი თორღვას ციხეა.

განათლების კუთხით რა მდგომარეობაა, ხომ არ გაქვთ ამ მხრივ პრობლემები, თქვენმა სკოლებმა როგორ აუბა მხარი განათლების ახალ რეფორმას, ასევე მინისტრებს რა ენახე მიმდინარეობს სწავლება ქისტი ფანჯილებისათვის. ქართული ენისა და საქართველოს ისტორიის შესწავლა არის თუ არა პროგრამით გათვალისწინებული?

პანკისში განათლების მხრივ კარგი მდგომარეობაა. ჩვენმა სკოლებმა მშვენივრად აუბეს მხარი განათლების ახალ რეფორმებს. დუისის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა კახეთის რეგიონში სხვადასხვა ტურებში მიიღეს მონაწილეობა და გამარჯვებულნი კიდევ ბევრჯერ. რაც შეეხება სწავლას, ქისტი სკოლებში მიმდინარეობს, ჩვეულებრივ, ქართულად, როგორც ნებისმიერ საქართველოს სხვა სკოლებში. სხვათაშორის, პანკისის ხეობა ერთადერთი კუთხეა არაქართველ მოსახლეობას შორის, სადაც მხოლოდ ქართულ ენაზე სწავლობენ.

ბოლოს კი... რას უსურვებდით ჩვენს ქვეყანას?... საქართველო ჩვენი სამშობლოა, „სადაც ვმოხილვარ გავზრდილვარ“ –ო უთქვამს დიდ რაფიელ ერისთავს. და მეც, როგორც ყველა ნორმალური ადამიანი, ვუსურვებდი საქართველოს ყოველივე საუკეთესოს, ბედნიერებას, გამრავლებას და რაც მთავარია, გამთლიანებას.

ესაუბრა იზა ჯაჭავაძე

გზაჯვარას ახმეტის აკანყების 200 წლისთავისათვის

1812 წლის 31 იანვარს, რუსეთის კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ დიდი სახალხო აჯანყება დაიწყო ახმეტაში. ამის მიზეზი კი ის გახლდათ, რომ ახმეტელებმა უარი თქვეს საოკუპაციო ჯარისათვის პურის მიცემაზე, საპასუხოდ ახმეტელებს ეგზეკუცია ჩაუყენეს. მათ მიემუდუნენ გლეხები თიანეთიდან, მატანმარაილისიდან, თელავიდან...

ახმეტაში დაწყებული აჯანყება მალე მიელ კახეთს მოედო. კახეთის ოლქის უფროსმა გენერალმა პორტნაგინმა, რომლის ადგილსამყოფელიც საგარეჯოში იყო, ზედიზედ ჯარები გაგზავნა აჯანყების ჩასახშობად, მაგრამ ყველა წარუგზავნილი

ჯარი აჯანყებულებმა დაამარცხეს და უკუაქციეს. ასევე საოკუპაციო ჯარები განდევნეს თელავიდან, სიღნაღიდან, ქიდალიდან, ბოდბისხევიდან. მეამბოხეებმა გაიმარჯვეს ანაგაში, კაკაბეთში, ალფა შემოარტყეს თვითონ გენერალ პორტნაგინის რეზიდენციას, მაგრამ მან გაპარვით უშველა თავს. აჯანყების ხელმძღვანელებმა წარმომადგენლები გაგზავნეს ქართლ-კახეთის მთიანეთშიც. მათ აჰყვა ფშავ-ხევსურეთი. 10 თებერვალს, თიანეთში იოსებ სიღამონიშვილის ხელმძღვანელობით ათასმა ფშავ-ხევსურმა ალყაში მოაქცია ანანური, აიღო დუშეთი და ფასანაური.

საომრად დაირაზმა ხევი, მთიულეთი, გუდამაყარი. მათ რუსეთ-საქართველოს დამაკავშირებელი გზაც კი აიღეს... შემდეგ კი გაათავისუფლეს მარტყოფი, სართიჭალა... თუმცა იმპერიული სამხედრო მანქანის წინააღმდეგ აჯანყებულები უძლეური აღმოჩნდნენ და დამარცხდნენ.

მიუხედავად მარცხისა, ახმეტაში დაწყებული დიდი სახალხო აჯანყება საქართველოს ისტორიაში შევიდა, როგორც პირველი შეიარაღებული გამოსვლა 1801 წელს რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და ოკუპაციის წინააღმდეგ. 2012 წლის 31 იანვარს 200 წელი სრულდება ახმეტის აჯანყებდან.

ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებით შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელმაც ორგანიზება უნდა გაუკეთოს ამ დღისასსოფარი თარიღისათვის სამუადისს.

შენაქოში სახეიმოდ გიხსნა მიკრო ჰიდროელექტროსადგური

ახლანანს თუშეთში, შენაქოში სახეიმოდ გიხსნა მიკრო ჰიდროელექტროსადგური, რომლის მშენებლობა დააფინანსა USAID-მა, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩომ და საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრომ.

ჰესის სიმძლავრე, რომლის მშენებლობაზეც 268 ათასი ლარი დაიხარჯა, 50 კვ-ია და სრულად აკმაყოფილებს სოფელს (70-80 კომლი).

მშენებლობის პროცესში აქტიურად მონაწილეობდა ადგილობრივი მოსახლეობა.

შენაქოს ჰიდროელექტროსადგურის სახეიმოდ გახსნაში მონაწილეობდნენ ახმეტის მაჟორიტარი დეპუტატი, საქართველოს საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი პეტრე ცისკარიშვილი, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი, საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკანი, საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი ალექსი ხეთაგური, ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ჯონ ბასი, საქართველოში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ადგილობრივი მოსახლეობა და თუშეთში მყოფი სხვადასხვა ქვეყნების ტურისტები.

მწყობრად ჩადგა ახმეტა-თიანეთის ცხელ წერტილში გზა

2011 წლის პირველ ნახევარში, გადაუღებელი წვიმების პერიოდში, რამაც წყალდიდობები გამოიწვია, ილტოსა და ალაზნის ხეობებზე მწყობრიდან გამოვიდა ახმეტა-თიანეთის დამაკავშირებელი ცენტრალური საავტომობილო გზა, რამაც სერიოზული საფრთხე შეუქმნა ტრანსპორტის უსაფრთხო მოძრაობას.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ამავე გზით უკავშირდება რაიონულ ცენტრს და გარე სამყაროს ილტოს ხეობაზე არსებული 6 სოფელი.

წლებულს, 19 სექტემბერს, ვადაზე ერთი თვით ადრე დასრულდა სარაიონთაშორისო საავტომობილო გზის დაზიანებული მონაკვეთის (ქალაქ ახმეტის თავში, სოფელ ჩაჩხრაილის მიმდებარე ტერიტორია) სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელსაც შპს „ენგური – 2006“ ასრულებდა.

102 გრძობ მეტრზე მოეწყო სპეციალური გამბიონები, რომლებიც ოთხ მარუსად აშენდა, 3,5 მეტრის სიმაღლეზე. 20 გრძობ მეტრზე მოეწყო ნაპირდამცავი, წყალმომი, შემოიხიდა 8000 კუბური მეტრი ქვიშა, წყალდიდობისაგან წალბული მონაკვეთის შესაცვებად.

მოსალოდნელმა წყალდიდობამ განმეორებითი საფრთხე რომ არ შეუქმნას ახლადრეაბილიტირებული გზის ამ მონაკვეთს, მიმართულება შეეცვალა მდინარე ილტოს.

ასე რომ, ახმეტა-თიანეთის დამაკავშირებელი ცენტრალური საავტომობილო გზა სადღესოდ სრულ წესრიგშია. მშენებლობის ხარჯები (143 ათასი ლარი) დაფარა საავტომობილო გზების დეპარტამენტმა.




რამდამინის მინაწერი: ვისაც დღეს ახმეტა უნახავს, შეიძლება ვეღარც კი იცნოს, ისეა კეთილმოწყობილი და გამშვენიერებული. ცენტრალურ ქუჩას ჩვენი სახელოვანი გმირი – ბიძინა ჩოლოყაშვილის სახელობის ხეივანი ეწოდა, ქალაქის ცენტრში მალე დასრულდება ბიძინა ჩოლოყაშვილის სახელობის ღვთისმშობლის ეკლესიის მშენებლობა, აშენდა ახალი პოლიციისა და რაიონული საავადმყოფოს შენობები, ქალაქის ცენტრს შეემატა თანამედროვე ტიპის გაზის ავტოგასამართი სადგური – „სოკარ-ჯორჯია“, გაიხსნა რძის გადამამუშავებელი საწარმო, მოპირკეთდა გზები...

ახმეტა, მართლაც რომ, დაემსგავსა ქალაქს და, რა თქმა უნდა, ყოველივე ეს სიკეთე უპირველესად აქაური ხელისუფლების წარმომადგენლების: ბატონების – კობა მაისურაძის, ალექსი მაილაშვილის, სხვადასხვა უწყებების ხელმძღვანელობა და მოსახლეობის დამსახურებაა.

„ვინაშე თქვა თუშთა დაღევა!..“

(რას ნერდა გაზეთი „ნახტრიონი“ 1981 წელს)



30 წლის წინ, 1981 წლის 10 ივლისს ავტომანქანების პირველი კოლონა ავიდა თუშეთში – სოფელ თბილისში... სხვადასხვა მარკის ასობით ავტომანქანა ცხვრის ფარასავით მოუფინა ხასხასა სიმწვანით მოქარგულ მთათა კალთებს.

ხანდაზმული თუშებისათვის, რომლებიც ვერ შეელონენ მამა-პაპათა ნაფუძარ მიწას, სხვათა გულისთქმასა და ფეხის ხმას არ აჰყვნენ, გული არ აჰყარეს უძველეს სამოსახლოსა

ასე იქნება მომავალშიც. ასე, რომ 2011 წლის 30 ივლისს ოცდამეათედ აღინიშნა „თუშეთობის“ დღესასწაული.

ოღითგან, ჯან-ღონით სავეს, ხალისიანი სიცოცხლე დუღდა და ჩქეფდა მთის სოფლებში. მხნეობდა, მძლავრობდა, იღვწოდა და ირჯებოდა, ხნავდა და თესავდა, მკიდა და ლწავდა, მტერს-მახვილით, მოყვარეს პურ-მარილით სვდებოდა მთიელი კაცი.



და ბარად არ ჩაივინებ, მთათა მწვერვალებზე ავტომანქანების დანახვაზე პირველად იწერდნენ, „ – ან სასწაული! ან სიზმარი! და ამ ყველაფერში ეშმაკის ხელი ურევია, ცხენებით გვიჭირდა აქამდე ამოსვლა... ნამდვილად სასწაულის მოწმენი გაგხდითო“...

როცა ავტომანქანებიდან გადმოსული თავისიანები, ნაცნობ-მეგობრები და ნათესავები დაინახეს, უსაზღვრო იყო მათი სიხარული.

დაიხ! ეს იყო ამ სამი ათეული წლის წინათ, როცა თუშეთთან ერთად მთელმა საქართველომ დიდი სახალხო ზემოთ აღნიშნა პირველი „თუშეთობა“ (იგივე „მეცხვარის დღე“).


ამ ზემოთ დაედო სათავე თუშეთის განახლება-აღორძინების საწყის ეტაპს. 30-40 წლის წინ ბარად ჩასული თუშები, თუშეთს მოუბრუნდნენ. გამოხსნეს ათწლეულების წინ სახლების დაგანული კარ-ფანჯრები. სოფელში კვლავ აბდავდა ცხვარ-ძროხა, ბაღების ჟრიაჟი მალამოდ მოეცხო მთათა კალთებს. გამოიღვიძეს ნასოფლარებმა, ეკალ-ბარდები ჩამოიცილეს ნასახლარებმა...

განახლებული სიცოცხლის მაღლი დატრიალდა თბილისში, დიკლოში, შენაქოში, ხისოში, ბოჭორნაში, კვაკლოში, დანოში, დოჭუში, ხანაბოში, გირეში, ფარსმაში, აღის-გორში, ჯვარბოსელში...

აღორძინებული სოფლების რიცხვი წლიდან წლამდე იზრდებოდა. ეს ტენდენცია დღემდე გრძელდება. იმედი უნდა ვიქონიოთ

ცის სილურჯემდე ამაღლებული სოფლები ციხე-გალავნით ჰქონდა შემორტყმული ღედა საქართველოს და აკი ერთგულად და უშიშრად იცავდნენ კიდეც მთიელები თავისი ქვეყნის მიჯნასა და საბანს.

საცალფეხო ბილიკებზე ფერხორციანი, ძვალმსხვილი, კეჟურა ბაღლები დარბოდნენ.




მთის კალთებზე ცხვარ-ძროხა ბალახობდა. მთიელი კაცის გული სიკეთით, სული სისპეტაკით, ქილა და ქოთანს ერბო-კარაქით, გულები ყველითა და გომური ოთხფეხით იყო სავეს.

ბარად ჩამოსული, ერბო-კარაქს, ყველსა და მატყელს წამოიმძღვარებდა, ბაზარზე გაყიდდა, ჩასაცემელსა და დასახურავს, ნავთსა და მარილს იყიდდა და ისევ მთაში ბრუნდებოდა.

და იყო ასე უწყვეტი მიმოსვლა მთიდან ბარში საცალფეხო ბილიკებითა და დარბაზული ცხენებით. მთიელებს მეცხოველეობის პროდუქტები ჩამოჰქონდა ბარელებთან ისეთ პროდუქტებზე გადასაცვლელად, რომელიც მთაში არ იშოვებოდა. ბარელები მთიელთა მადლიერები იყვნენ, მთიელები – ბარელთა მლოცველები.

ერთბაშად ეპიდემიასავით მოედო მთის სოფლებს მიგრაციის მიმე სენი. კერაზე ცეცხლი განდდა, სახლებს თვალები ამოუღამდა, კიბე აუბალახდა, ჭერი მოენგრა, კედლები დაეზზარა, ეზოკარს შამხარი მოედო, სახნავ-სათესი ატყვევდა და გაყამებდა, ნასახლარების ყორეები წყლულებით დასხდნენ ტანზე მთიელთა სამოსახლოს.

მთის სოფლები ხალხისაგან იცლებოდა, მტკიცედ ნაშენები ქვეყნის ღობი იზარებოდა და ირღვეოდა. განგაში კი არავის აუტეხია,



ქვეყანა არ შეუწრიალებია, გულს არ შემოჰყრია, ძილი არ გაჰკრთომია, მოსვენება არ დაჰკარგვია, არ აყვირებულა და აღშფოთებულა, – მთები გვეცლება, საძოვრები და სახნავ-სათესი გვიმცირდება ისედაც მცირე მიწის პატრონებსაო.

შეთხელდა მთის კალთებზე ცხვრის



ფარები, დაცარიელდა ძროხის ბაშტები, მეცხოველეობის პროდუქტების მწარმოებელი ადამიანები მომხმარებლებად იქცნენ. ცეცხლი მოედო ბაზრებს. ერთისამად გაძვირდა ყველი და ხაჭო, კარაქი, ხორცი და მატყელი, მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვი.

სახელგანთქმული სარქლები და მცნობარები, ბარად მესიმინდებდნენ, მეხილეებდნენ, მევენახეებდნენ და მებოსტნეებდნენ იქცნენ. დაიწყების მტკერი და ფერფლი მიეყარა მამა-პაპისეულ პროფესიას, ასერივად რომ სჭირდებოდა და ადგებოდა ხალხსა და ქვეყანას, ერსა და მამულს, მთასა და ბარს.

მთის სოფლების საერთო სენსა და სატკივარს ვერც უღამაზესი და უბაღლო თუშეთი გადაურჩა, მანაც გაიზიარა ფშავ-ხევსურეთის ავი ბედი. – ჩვენი საუკუნის

გაბრძნობა მ-6
გაპრღვი =>

საკმაოდ დიდი ხანია, რაც წარმოშობით უკანაფშაველმა, თელავის რაიონის სოფელ ლაფანურის მკვიდრმა ჩვენმა თანამემამულემ ბატონმა აპოლონ ციხრაძემ...

რაც მთელი სრულყოფილებით იგრძნობოდა ამგვარ ოჯახებში. სწორედ ამ სოფელში და ამ ხალხში გატარებული წლები ეუმადლი ყველა იმ სიკეთეს, რაც დღეს ჩემშია. სწორედ ამიტომ ვთვლი თავს მოფულედ, თუკი რაიმე შემოიძლია, ამ სოფლისა და ხალხისათვის გააკეთო...

ნუხილი აპოლონისა




ირებული, რისი საშუალებაც სოფელს არ ჰქონდა, სჭირდებოდა დახმარება. კულტურის სახლის ეზოში დავდეი ვაფს ბიუსტი, განახლებული პირველი დღესასწაული დაუკავშირეთ სოფლის დაარსების 100 წლისთავს...

გადავცი ფულადი ჯილდოები. ღონისძიების შესახებ საქართველოს რამდენიმე ტელეარხმა გადასცა... გამოცვლდა და გახალისდა ჩემი ხალხი. სოფლისათვის მთავარი პრობლემა გზა იყო, ვერ მოუვებარე ეს საქმე მთლიანად, მაგრამ ნაწილობრივ...

ბით გამოიცა უმშენებრესი ფშაური ლექსების კრებული „ილია და ლუკა მთიბელაშვილები“. ეს ყველაფერი ღმერთმა შემაძღვინა... უფლისთვის სათნო საქმის მკეთებელი ხმამაღლა არ ლაპარაკობენ, მაგრამ, შემიძლოს ეს ერთხელ... დიდი სიამაყით მინდა ვთქვა, რომ ლაფანურში ჩემი თაოსნობით, ჩაყვარა საძირკველი, შენდება და მალე დასრულდება ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია...

„ვინამ თქვა თუშთა დალევა!..“

(რას ნერდა ვაზეთი „ნახტრონი“ 1981 წელს)



დიკლო, რამაზ ნაცვლიშვილის ფოტო

მხარდამხარ მოგვდევდა უფსკრულის თავზე თილისმასავით დაკიდებული ელსადენების ხაზი, სასწაულომქმედ ადამიანებს საყრდენების გარეშე რომ დაეკიდა პაერში, მნახველი რომ გაოცებაში მოჰყავდა. იქ, სადაც საბოლოოდ უნდა გადაგვეკეთა ხეობა და მიის კალთებს უნდა შეგებოდით, ცოფმორეული, აღრენილ-აჯაგრული, მდინარე სტორი გადაგვდებოდა. წინ შლამიან-ტალახიანი ტალღები ხიდის მოაჯირს ეპოტინებოდნენ. ტალღას ტალღაზე ამსხვრევდნენ ზედ, წალეკვით და განადგურებით ემუქრებოდნენ.

ცა-ღრუბელმაც დაყარა ფარ-ხმალი, აქაოდა ვერ გავტეხე ამ ხალხის სიკერპეო, ცამ პირბადე გადაიყარა, მთებმა საბურველი მოიხსნეს და სველი ტანი მზეს მიუფიცხეს. კესელოს ციხე შედიდურად წამოიმართა სოფლის თავზე. სიბით გადახურული სახლები გვერდიგვერდ მიუყუდიყუდნენ მწვერვალებს შუა. გაღმა-გამოღმა მწვერვალსაც ჩიტის ბუდეებით მიჰკვროდა თითოთოროლა სახლი. მწვანედ მოხასხასე ბალახივით მოჩანდა მობალახე ცხვრის ფარები. კესელოს ციხის ბებერი მუხლების ქვეშ გრძოდა გადაჭიმულ ლოზუნგზე მოზრდილი ასოებით წაწერათ ხალხური ლექსის ცნობილი სიტყვები: „ვინამ თქვა თუშთა დალევა, ნაპირ მოტეხა ცისა“.

30-იან წლებში თუშეთში 2390 ადამიანი ცხოვრობდა, ამ ბოლო დროისათვის (80-იანი წლებისათვის) ეს ციფრი 136-მდე შემცირდა. თითქმის გაუკაცრიელდა ეს თვალწარმტაცი მხარე და ადგილ-მამული. თვალცრემლიანი ტოვებდნენ თუშები თავის სამოსახლოს, - თავად ბარად მიდიოდნენ, გული კი მთაში რჩებოდათ, არ ეთმობოდათ გამზრდელი კუთხე-კუნჭული, მაგრამ... დიდი იყო ცდუნების ძალაც. უხილავი ძალით იზიდავდა თავისკენ ელექტრონიტ გაჩახახახებული სოფლები და ქალაქები. არც მშველელი, ჭირთა მოზიარე, სევდა-ნალექლის გამქარებელი და წყლულზე მალამოს დამდეგი ჩანდა ვინმე.

თვითმცლელი ავტომანქანების კოლონა შეუყვა მთათა საუფლოსკენ. თითქმის ორი წელიწადი აყრუებდა და აზანზარებდა ლალულების აფეთქების მჭექარე ხმა, ტექნიკის გუგუნ-გრილი... ცად აზიდული მთების კლდოვან კალთებზე და უფსკრულების თავზე იჭრებოდა საავტომობილო გზა... აღორძინებისა და მეორედ დაბადების დღე გაუთენდა თუშეთსაც... არწივთა საუფლოში რკინის ფრინველთა მიმოსვლა დაწესდა. სული მოითქვეს საგაზაფხულო იალადებზე ასულმა მეცნარეებმა. ტვირთი შეუმსუბუქდა მანამდე ერთადერთ სატრანსპორტო საშუალებას - ცხენებს.

1981 წლის 10 ივლისს, ათობით ავტომანქანამ აიღო გეზი თუშეთისკენ. თავსხმა წვიმა და ჭექა-ქუხილი დაგვემზავრა ახმეტდიანვე. როცა სტორის ხეობაზე კლდის ქარაფებზე დაკიდებულ საავტომობილო გზას შევედეთ, წვიმამ იმლაგრა. ყოველ ნაბიჯზე აქაფებული ღვართქაფი გადოსჩქეფდა გზის თავზე. ტანდაზნარული ლოდები რახარუხით ჩამობოდნენ გალიაპულ კლდეებზე. წარამარა გვიხდებოდა შეჩერება და გზის გაუმენდა. ასე თანდათანობით მივიწვედით მალა-მალა.

სტიქია კი მძვინვარებდა და შმაგობდა. ფიცრის ჭკალში ჩასულს ახლა ჭანჭახოვანის ალაზანმა გადავიღო გზა და ის ღამე გვერდიდან არ მოგვშორდა, მუხლი არ ჩაგვანრევინა, თვალი არ მოგვასუჭინა და ყურთასმენა წაგვართვა. მეორე დღეს შუადღის ხანს ავიმადლეთ ძველ ომალოში. თითქოს

იყვნენ გამოჩენილი ქართველი პოეტები, პროზაიკოსები, კულტურისა და ხელოვნების თვალსაჩინო წარმომადგენლები, პრესისა და ტელევიზიის თანამშრომლები, სხვანი და სხვანი. იმ დღეს იქ მთელი საქართველო იყო. სრულიად საქართველოს გაეთავისებინა თუშეთის აღორძინების ზეიმი. მართლაც გულით ზეიმობდა თუშეთში ამოსული დიდი და პატარა, ქალი და კაცი, ნაცნობი და უცნობი, ერთიანი საქართველო ზეიმობდა მთიელი კაცის მთაში დაბრუნებას.

... და, სრულიად მოულოდნელად, მოხდა სასწაული. სტორის ხეობას, თორღვას აბნოსაკენ მიმავალ გზას მძლავრი ტრაქტორების (ბულოზერების) ექსკავატორების,



ვაკისძირი - ზეზვა გაფრინდადულის სოფელი

მამას - ჩვენს წიგნს



მონატრებაზე ძნელი და სიკვდილზე შეშარავი არაფერი ყოფილა დედამიწაზე... მალე მონატრებითა და ტკივილით საესე წელიწადი გავა, რაც გადაინაცვლე იმქვეყნიურ მარადიულ სასუფეველში.

შენს წლის-თავზე კიდევ ერთხელ გაგისვენებენ შენს საფლავთან შენი ოჯახის წევრები. კიდევ ერთხელ მოსწყდება თვალს ცრემლი, ცრემლი, რომელსაც შენ

ვევლგან ალაღად იმსახურებ.

სევდის ფერი შეფარვია შენს ლამაზად დაშვებულ საფლავს შენს წინაპართა გვერდით. შევეურებთ შენი დაბადებისა და გარდაცვალების თარიღებს შენი არყოფნით გულდამძიმებულები და ვფიქრობთ, ნუთუ ეს პატარა ტირია მთელი შენი ცხოვრება, შენი ჭირ-ვარამი, ღზინი და ბედნიერება.

67 წელიწადმა განსაზღვრა უამი შენი ამქვეყნიური ცხოვრებისა, მაგრამ ჩვენ ვგრძნობთ, რომ უხილავად ჩვენთან ხარ, ჩვენთვის ლოცულობ ჩვენი მოურჩენელო ტკივილი და შეუზოცებელი იარაღი.

შენი მონატრების ეს პატარა წერილი, ჯერ ჩვენს სულში დაგუბებული და მერე სულიდან ამოხეთქილი კვილია და მას ჩვენი კეთილი და პატიოსანი მამის სახელი ჰქვია.

ტკივილისაგან გაწამებული, ღამეებს თითრად ათენებდი. ენერგიულად, ჩვენს შეუმჩნეველად ებრძოდი უკურნებელ სენს. შენი ცხოვრების დევიზი ხომ კაცობა და გმირობა იყო, ამიტომ ერთხელ არ დაგიკენესია - აუტანელი ტკივილით

გაწამებულს და ცდილობდი, ჩვენთვის არ შეგეშინებინებინა. გეგონა, შენი ნებისყოფით დაამარცხებდი უკურნებელ სენს, მაგრამ ხანმოკლე აღმოჩნდა ჭიდილი უღმობელ სიკვდილთან, სიკვდილთან, რომელმაც ვერ შეგაშინა და შენ თვალზე ცრემლი არც სიკვდილს ანახე, არც მეუღლეს, არც შვილებსა და არც შვილიშვილებს.

17 დეკემბერს, ბარბარობა დღეს როგორი მშვიდი და წყნარი იყავი, ისე მშვიდად და წყნარად გავიდა შენი სპეტაკი სული მარადიულ სასუფეველში.

შენ უხვად მიმოაბნიე სიკეთის მარცვალი სახარებისეული მთესველივით ამ სამხეობაზე. უხვ მოსავალს ახლა ვიმკით შენი ოჯახის წევრები...

გვჯერა, რომ შენი სპეტაკი სული, მფარველ ანგელოზად მოველინება შენი ოჯახის წევრებს და არა მარტო მათ... შენ ხომ ადამიანები ყველა ერთნაირად გიყვარდა.

სადაც კი ფეხი დაგიდგამს, მტკვრემოქარებულ მწვერვალებსა თუ თვალმიუწვდომელ ფრიალოებთან, თითოეული ნატერფალი შენეული ალალი მადლით არის მირონცხებული. შენი ძმადშეფიცული მონადირეები გამეხებულნი სახეებით და ათროლებული მხრებით მღუმარედ დადგებიან შენს საფლავთან და ისევე გაუყვებიან იმ შენგან გაკვალულ სანადირო ბილიკებს. ვდგევართ საფლავთან შენი შვილები და შენს ალალ და მართალ სულს ვიფიცებთ: არასოდეს გადავდგამთ ისეთ ნაბიჯს, რომელიც ოდნავ მაინც მიაყენებს მთიელი კაცის ღირსებას ჩრდილს. შენც ხომ ასე გვზრდიდი და გვარიგებდი.

შენს მიერ განვლილი სიკეთის გზა - ცხოვრებისა, ჩვენთვის წინ წამძღვარებული ლამაზარია, რომელიც წუთისოფლის გზას გაგვიხატებს.


შეთხოვთ უფალს, შენს სახელზე ანთებულმა სანთელმა, გზა გაგინათოს სამარადისო სასუფეველში, სადაც მართალნი განისვენებენ.

შენზე ვილოცებთ, ვიცოცხლებთ მისთვის, რომ არ შეეხოს, მამა შენ სახელს დავიწყება.

ზვიადი, ბადრი, ბაჩო და მალხაზ წიგნაურები

ახალი ჟურნალი „კომპიუტერის თვითმასწავლებელი“

პრესის გავრცელების ობიექტების სტელაჟებზე უკვე გამოჩნდა ახალი ჟურნალი - „კომპიუტერის თვითმასწავლებელი“, რომელიც თავის ფურცლებზე გვთავაზობს კომპიუტერის პროგრამების შემსწავლელ გაკვეთილებს, ხოლო თანდართულ კომპაქტ დისკებზე დეტალურად დათვალსაჩინოდ წარმოგვიდგენს ვიდეომასალას. დისკით თან ერთვის ჟურნალის თითოეულ ნომერს.



როგორც ჟურნალის დამფუძნებლები: რედაქტორი - **კობა ბელიძე** და გამომცემელი **გორა ლინაშვილი** აღნიშნავენ, ჟურნალის მიზანია, ყველასათვის ხელმისაწვდომი გახდეს ის კომპიუტერული პროგრამები, რომელთა ცოდნაც არათუ სასურველი, აუცილებელიც არის ნებისმიერი თანამედროვე ადამიანისთვის.

ამჯერად, ჟურნალის პირველ ნომერში დაწვრილებით განიხილება ყველაზე მეტად გავრცელებული საოფისო პროგრამა „ვორდი“, დამფუძნებელთა ინფორმაციით, ახლო მომავალში დაინტერესებულ მკითხველს წარუდგენენ კომპიუტერის მართვისა და ორი მეტად პოპულარული პროგრამის, „ექსელისა“ და „ფოტოშოპის“ გაკვეთილებს.

ახალი წიგნი



ექლგნება დედის, **ლალი იორდანიშვილის** სსოგნას

დანები



თითქმის ყველა ქვეყანაში დიდ ინტერესს იწვევს ცივი იარაღის ძველებური მეთოდით მიღება, წრთობა, დამუშავება... სამწუხაროდ, ყოფილ საბჭოთა კავშირში აკრძალული იყო ცივი იარაღის კეთება და ეს კაცური და მამაპაპური საქმე დაივიწყებინა მიეცა... პირადად ჩემთვის სასიხარულოა, რომ ეს დარგი ნელ-ნელა ისევ აღორძინების

გზაზე დგება. ამ სფეროში საკმაოდ დიდი ნაბიჯები გადაიღვა ამერიკაში, გერმანიაში, ჩეხეთში, ფინეთში, უკრაინაში, რუსეთში, საქართველოში და სხვაგან.

საქართველო ძალიან მდიდარი იყო რკინის მადნის მობოვების გამოცდილებითაც, კერძოდ: სვანეთი, რაჭა, ქართლი, კოლხეთი. საქართველოში იჭედებოდა საუკეთესო ხანჯლისა და ხმლის პირები, განთქმული იყო ხევსურული „გორდა“. გადმოცემის თანახმად, **თავად წერეთელს** საცერში დახვეული ხმალი მიართვეს, რაც თავისთავად მეტყველებს მჭედლის საოცარ ცოდნასა და გამოცდილებაზე.

საქართველო თანდათან წელში იშლება. იწყება ძველი, დაიწყებული ხელობის ნელ-ნელა აღდგენა. ეს თვალნათლივ აჩვენა ხალხური რეწვის ფესტივალმა, რომელიც სამი წელია იმართება ეთნოგრაფიის მუზეუმში, ინგლისის ელჩის (დონალდ მაკლარენი) პატრონაჟით. ფესტივალზე თვალსაჩინო ადგილი ეკავა ქართულ ცივ იარაღს, აბჯარს, თექას, მინანქარს და სხვა უამრავ შესანიშნავ ნაკეთობას.

ამ ყველაფერს განვითარება და დახვეწა სჭირდება, დროა მსოფლიომ დაინახოს, რა კულტურის მატარებლებიც ვართ ქართველები. ჩვენც, მეიარაღეები, ჩვენს მოკრძალებულ წველს შევიტანთ ქართული კულტურის აღორძინებაში.

როლანდ ოდიშელიძე
ხალხური რეწვის ოსტატი, მეიარაღე

ასმეტას

მოდის და ჩუქად დუდუნებს ჩვენთვის ეს ალაზნანი ტალღებ ლიცლიცა, სპეროზას მთებმა ნისლი გგესროლა ცა შემოდგომის ფრად გაიცრიცა.

ველარ ვერევიტ ამ მხრებით

მტკვანებს

ისმის მინდვრების გაზის ჩივილი

ეს ახმეტაა, ჩვენი ახმეტა,

თავის ღზინით და თავის ტკივილით,

კვეტერა სიოს დალაღად გვაშლის

და ბასტრიონზე წარსული

ბრწყინავს,

პანკისში თორღვა პანკელის ციხე

ტანზე ისწორებს კიდევ ერთ დიღას.

ფშავლებში რიჟრაჟს მოჰყვება

მუზა

აქ ერთგულებაც იციან, იჭვიც,

სათქმელს ლექსებით გეტყვიან

უცბად,

დედის მუცლიდან დაყოლილ ნიჭით.

მთის ფერდობებზე აკრულა ცხვარი

ზგაქვეშ მდინარის რაკრაკი ისმის

ბალახზე ბროლად გაშლილა

ცვარი,

კლდეებს ქუდებად ახურავს ნისლი,

თუშეთის მთებში, ჯადოსნურ

მთებში,

სადაც ქვასაც კი სული უდგია,

დიკლო, შენაქო, ბოჭორნა, ფარსმა,

თითქოს ზეციდან ჩამოუგდიათ.

აქ ყვავილების დაგათრობს სუნი,

აქ მზეც სსგაგარად ისწორებს

ნაწნავს,

თუ სიყვარულით ადუღდა გული,

გვირგვინი სწორედ აქ უნდა დაწნა.

აქ უნდა გული მოიგო მისი —

ვისი თვალებიც გესროლა ქამანდს.

გსურს ზეცას მისწვდე? მიჰყევ მთის

ტანზე

ცხენის ფლოქვებით შემორტყმულ

ქამარს.

შეები ქარებს, გაუძელ ყინვას,

და გამძლეობა გქონდეს მწყემსური,

მიიღე ძმებად ქისტნი და ოსნი,

სახლიკაცებად თუშ-ფშავ-ხევსური...

რა ლამაზი ხარ ჩემო ახმეტა,

ხევიდან ტყემდე, მთიდან ბარამდე,

ალაგერდიდან გეწიოს ლოცვა,

სამარადჟამოდ ღმერთი გფარავდეს.

ლეილა ლევაშვილი

ბოლო გვერდი ელგუჯა უძილაური –

ახალი სახელი ქართულ პოეზიაში



ცნობილი ჟურნალისტი და პოეტი **იზა ჯაჭვაძე**.

ლონისძიების დასასრულს ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგებელმა **კობა მაისურაძემ** პოეტს ფასიანი საჩუქარი გადასცა და სამომავლოდ, კრებულის გამოსაცემად მხარდაჭერა აღუთქვა.

ილტოს ხეობა სამართლიანად ითვლება ფშაური კაფიის დიდოსტატა სამჭედლოდ. მე-19, მე-20 საუკუნეებში ხეობის სოფლებში (ჭართალა, შახვეტილა, ვეძები) ცხოვრობდნენ ისეთი სახელგანთქმული მოლექსეები, როგორებიც იყვნენ **გოგა უძილაური, ციფერა უძილაური, ფილიპე (რუსა) გედეხაური, შალვა ალბუთაშვილი, ფილიპე (ჭიბიტანა) ღვინიაშვილი, რომელიც მე-20 საუკუნის 50-იან წლებში პანკისის ხეობის სოფელ საკობიანოში დასახლდა.**

ფშაური კაფიის ამ დიდოსტატების შემოქმედებას საპატიო და გამორჩეული ადგილი უკავია ხალხური ზეპირსიტყვიერების თორმეტომეულში. მამა-პაპათა ამ მდიდარ ტრადიციას ღირსეულად აგრძელებენ ჩვენი დროის ილტოსხეობელი კალმოსნები. ცნობილი პოეტი, სოფელ ჭართალის მკვიდრი **მიხეილ ღვინიაშვილი, შახვეტილაშვილი შოთა მარუაშვილი, არჩილ ღვინიაშვილი, ვახტანგ გედეხაური, ირაკლი და გიორგი ღვინიაშვილები, ხათუნა სიმონიშვილი, დათო ჩიქურიშვილი და მრავალი სხვანი.**

10 ნოემბერს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრმა და კულტურის ცენტრმა, ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობის **გიორგი ჯაფარიძის** სახელობის საკონცერტო დარბაზში მოაწყო სადღესოდი ჰიტად ქცეული სიმღერებისა და ლექსების ავტორის, ჩვენი თანაქალაქელი პოეტის **ელგუჯა უძილაურის** შემოქმედებითი საღამო.

პოეტის ლექსებზე შექმნილი სიმღერები შეასრულეს კულტურის ცენტრთან არსებულმა ანსამბლმა „ბახტრიონმა“ და ინდივიდუალურმა შემსრულებლებმა.

ელგუჯა უძილაურმა წაიკითხა თავისი ახალი ლექსები.

პოეტს მიესალმნენ ცნობილი პოეტი, ელგუჯას თანასოფელი **მიხეილ ღვინიაშვილი,**

ილტოს ხეობელ მოლექსეთა თანავარსკვლავედში საპატიო ადგილი უკავია **ელგუჯა უძილაურს.** გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ელგუჯას დღეს საქართველოში ბადალი არა ჰყავს ფშაურ კაფიაში, თუმცა მისი პატრიოტული და ლირიკული ლექსებიც, როგორც იტყვიან, ხელიხელსაგომანები გახდა.

ელგუჯას შემოქმედებაში წამყვანი ადგილი უკავია ფშაურ კილოს და ეს არც არის გასაკვირი, რამეთუ მასში გენებით არის გადმოსული ღვთის ბოძებული ნიჭი შემოქმედისა, რომელსაც თავის დროზე ხარკს უხდოდნენ მისი პაპა (**გოგა**) და მამიდეები: **ეთერი და მარიამი.**

ელგუჯა უძილაურის პირველი ლექსი „**მოჩხუბარი**“ დაიბეჭდა სატირულ-იუმორისტულ ჟურნალ „**ნიანგში**“.

მე ხატში ჩხუბის ატეხვა

ცუდადა მაქვის დაცდილი,

შარშან გადაგვარ, დავითგვარ,

თავში შამიჯდა მაცილი.

დონიჯ შემოცრილ დავდიგარ,

ჩხუბზე საღერდელაშლილი...

მერე კი მწარედ გინანე

სილა რომ მომხვდა გაშლილი.

მთიდან, ფშავიდან მოდის. დედსაქართველოს ამ განაპირა საკარგემოს, ადგილის დედის მეციხოვნენი ლექსით-კაფიაობით იქარვებდნენ დარდსა და ნაღველს, ბედის უკუღმართობას. ელგუჯაც, თავისი შემოქმედებით, ამ გზას დაადგა, საძი ათეული წლის წინ და დღემდე არ გადაუხვევია ამ კურსიდან.

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან ელგუჯა უძილაურის ლექსები ზმირად იბეჭდებოდა ახმეტის რაიონულ გაზეთებში: „ბახტრიონი“, „ახმეტა“, „პაემანი მუხასთან“ და სხვა. 1994 წლიდან 2000 წლამდე იგი აქტიურად თანამშრომლობდა გაზეთ „ახმეტასთან“, პოეზიის მოყვარულნი სწორედ ამ გაზეთის საშუალებით ეცნობოდნენ მის შემოქმედებას.

ბოლო დროს, როგორც იქნა გაირღვა „მოჯადოებული წრე“ და ელგუჯას ლექსები რესპუბლიკური პრესის ფურცლებზეც გამოჩნდა და იმთავითვე მიიპყრო მკითხველის ყურადღებას.

ელგუჯა უძილაური მრავალმხრივი ნიჭიერი შემოქმედია, ამის დასტურად ის ფაქტიც კმარა, რომ სადღესოდ, ქვეყნის



მ ი ლ ტ ს უ ზ

დაბადების დღეს ვულოცავთ:

საქართველოს პარლამენტის
მედიაცენტრის ხელმძღვანელს
ნანა ჩინჩილაკაშვილს

ჟურნალისტ
მამუკა ვაშაკიძეს

*

ირაკლი ზვიადაურს

*

ფილოლოგიის დოქტორს,
ლელა შათირიშვილს

ფშავლის მკვიდრს

გურამ

*

გარშაულაშვილს

*

ფილოლოგიის დოქტორს,
პროფესორ

საერთაშორისო ურთიერთობათა
უნივერსიტეტის მაგისტრს

ნოდარ არლოტელს

ბაღრი (არბი)

ბალაკაშვილს

*

*

თვალსაჩინო მწერლებს:

თბილისის 161-ე სკოლის

ზურაბ თორიას,

მოსწავლეს

ბობა ხარანაშვილს;

მარიამ

ბობაქიშვილს

სუკველა ჩემკე იწვევდა

იორდანე და ბახილი,

კინადა მაპკლეს ცემითა

მძლივ გამოგვექე დაგხილი...

ჭართალაში რომ ამოგველ

კარგა ვზა მქონდა გავლილი.

მაშინ დალაგდა ქონიორი,

კეფაზე ჩამოგარცხნილი.

გონს მოგველ, ჩემ თავს

დაგკვლიე,

წელს ზეით ვიყავ გახდილი,

„მაიკის“ ნაგლეჯ-ნუგლეჯი

გზადაგზა იყო გაშლილი.

რო ვის ვენახე, იტყოდა

ჭკვანეთ არი შაშლილი,

დედიშობილა რას დარბის

ჩემანადაის გაზრდილი?!

მას მერე ნიაღვრავით წამოვიდა მისი ლექსები. არ დარჩენილა თემა, რომელსაც მისი კალამი არ შეხებოდა. მის ლექსებში ეროვნული სული და ხასიათია ჩაგვირისტებული. მაღლიანი კალამი ერთნაირად უჭრის, როგორც კაფიაში, ასევე ლირიკაში, იუმორსა და სატირამში.

კარგად მოგეხსენებათ, რომ ფშაური ლექსის სიყვარულის ძარღვი და მადლი

მასშტაბით ჰიტად ქცეული სიმღერების: „**ყვავებულა არაგვზე ღეკა**“, „**შატლის ცასავით ლურჯი გაქვს თვალბი**“, „**ღმერთო შენ დალოცე შუაფხო, ჩარგალი**“, „**ნურც არას მკითხავ და არც არას გაამბობ**“... მუსიკის ავტორიც თვითონვეა. მის ლექსებზე შექმნილი სიმღერები თავის რეპერტუარში აქვთ შეტანილი ცალკეულ ანსამბლებს, ინდივიდუალურ შემსრულებლებს. ჩაწერილი და გამოცემულია დისკები, რომლებიც დიდი პოპულარობით სარგებლობს. ქვეყნის წამყვან ტელევიზიებს („რუსთავი-2“, „იმედი“, საზოგადოებრივი არხი) ყოველდღიურ რეკლამებში გამოყენებული აქვთ მისი სიმღერები.

ელგუჯა უძილაურის დღევანდელ პოპულარობაში ერთგვარი დამსახურება მიუძღვის საქართველოს ახალგაზრდა პოეტთა კავშირს – „მარად ახალი ქნარი“. სწორედ მათ მოუწვეს პირველი შემოქმედებითი საღამო, რომლის თაოსანიც ელგუჯას თანასოფელი პოეტი მიხეილ ღვინიაშვილი გახლდათ.

ალიარებას ალიარება მოჰყვა. „ფშავის აღორძინება-განვითარების“ არასამთავრობო კავშირის თაოსნობით პროფკავშირების **სახსლეში გაიმართა ელგუჯა უძილაურის მორიგი შემოქმედებითი საღამო. ანალოგიური ღონისძიება გაიმართა სამების ტაძრის ახალგაზრდული ცენტრის დარბაზში, რომლის ინიციატორიც გახლდათ პოეტი ირაკლი ყალიჩავა.**

ელგუჯა უძილაურის შემოქმედებას **გაზეთმა „კავკასიამ“ ერთი გვერდი დაუთმო.**

ომარ მარუაშვილი

<p>დამფუძნებელი, გამომცემელი და მთავარი რედაქტორი</p> <p>იზა ჯაჭვაძე</p>	<p>რედაქტორი ლაშა-გიორგი პრაპიშვილი</p>	<p>სარედაქციო საბჭო: ივანე წიკლაური, კობა ბუჩუკური, რეზო კობიაშვილი, გიორგი იტყვიძე, ნუგზარ ილიძე, მარინე თეთრუმანიძე, ნატა ბორჩხაძე, ლეილა არჩიშვილი, გულუ კობიაშვილი, ომარ მარუაშვილი, გოჩა ხარანაშვილი, ჭაბრილ ხანგოშვილი.</p>	<p>მისამართი: კოსტავას ქ.№14 ტელე: 52-16-38 899-79-76-13</p>
	<p>რედაქტორის მოადგილე ლიანა გიბიაძე</p>	<p>ბაზეთი არ გამოხატავს არც ერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესს, ავტორები თავად აკადან პასუხს. მასალაში უმართლო ფაქტების სისწორეში, ავტორთა მოსაზრებებში უმართლო არ ეთანხმებოდნენ რედაქციის კოლეჯს. ბაზეთიდან მასალის გადასაცემის რედაქციისთვის უმართლოდ დაუშვებელია.</p>	<p>დაკავშირდით კობა ბუჩუკურს დისკონტაქტში www.bedoidze.site.ge</p>